



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 233

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №187 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და შპს „პარკინგსერვისის“ 17.12.2015 წლის №15044/01 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №187 განკარგულების მეორე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №78 დადგენილების შესაბამისად, რომელიც შეადგენს 463 415 /ოთხასსამოცდასამიათასოთხასთხუთმეტი/ ლარს“.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „პარკინგსერვისის“ შორის 2015 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებულ №28 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი